**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# გოჭურის ბრძოლა 1623

გოჭურის ბრძოლა 1623, ბრძოლა ოდიშის მთავარ ლევან II დადიანსა და იმერეთის მეფე გიორგი III-ს შორის.

ლევან II დადიანის გაძლიერებით უკმაყოფილო გიორგი III ოდიშზე სალაშქროდ მოემზადა. ლევან II დადიანმა, რ-საც აფხაზთა და ჯიქთა ლაშქარიც ახლდა, გიორგი III-ს დაასწრო, იმერეთში შეიჭრა და გოჭურასთან (ქუთაისის მახლობლად) სასტიკად დაამარცხა მეფე. გ. ბ-ის შემდეგ იწყება ლევან II დადიანის *პოლიტ.* უპირატესობა დას. საქართველოში.

*წყარო:* ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

***ქ. ჩხატარაიშვილი***